თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 4375

" 27 " 10 2011

06.05.09 წ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/535 ბრძანებასა და №6/527-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში ცვლილების შეტანის თაობაზე

24.10.11 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს განცხადებით მომართა შპს "მეტეხის წარბი"-ს დირექტორმა ბორის პაიჭაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 06.05.09 წლის სასტუმროს პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ №01/535 ბრძანებასა და №6/527-1 უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ზემოთხსენებულ აქტში დამკვეთად როზა შაოშვილის ნაცვლად შპს "მეტეხის წარბი"-ს დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 06.05.09. წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/535 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, რუისის ქუჩა №11-სა და №13-ში მოქალაქე როზა შაოშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სასტუმროს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. (უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა №6/527-1)

12.11.10. წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის №5620 ბრძანებით შეიცვალა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურული პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 06.05.09 წლის №01/535 ბრძანებასა და №6/527-1 სანებართვო მოწმობაში. აღნიშნული ცვლილებით მშენებლობის დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 11 აგვისტო.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: 01.17.01.117.028; განცხადების რეგისტრაციის ნომერი №882011376732; მომზადების თარიღი 05.08.11 წელი), რომლის თანახმადაც №01.17.01.117.028 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს "მეტეხის წარბი". ასევე წარმოდგენილი იქნა როზა შაოშვილის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 111163757; რეგისტრაციის თარიღი: 24.10.11წ.), რომლის მიხედვითაც იგი თანახმაა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურული პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ 06.05.09 წლის №01/535 ბრძანებასა და №6/527-1 სანებართვო მოწმობაში დამკვეთად დაფიქსირდეს შპს "მეტეხის წარბი".

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის ახალ მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს “მეტეხის წარბი”, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი და ამასთან, აღნიშნულ ცვლილებაზე თანხმობას აცხადებს როზა შაოშვილი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს “მეტეხის წარბი”-ს დირექტორის ბორის პაიჭაძის 2011 წლის 24 ოქტომბრის №12/141686-13 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.05.09 წლის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/535 ბრძანებასა და №6/527-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ: დამკვეთად როზა შაოშვილის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს “მეტეხის წარბი”.
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.05.09 წლის №01/535 ბრძანებისა და №6/527-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობის მასალებს დაემატოს: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: №01.17.01.117.028; განცხადების რეგისტრაციის ნომერი №882011376732; მომზადების თარიღი 05.08.11 წელი); როზა შაოშვილის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 111163757; რეგისტრაციის თარიღი: 24.10.11წ.)
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.05.09 წლის №01/535 ბრძანებასა და №6/527-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი არისი ბოჭოიძე

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, როზა შაოშვილი (დაბ. 19.06.1948 წ. თეთრიწყარო. რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, რუისის ქ. N 11, პ/მ 01011011461, გ0148011, გაც. 11.09.1996 წ. სრს იუსტიციის სამსახურის მიერ), თანახმა ვარ, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 06.05.2009 წ. გაცემული უძრავ ქონებაზე სამშენებლო სანებართვო მოწმობა № ნ/527-1, თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 06.05.2009 წ. გაცემული ბრძანება № 01/535, რომელიც გაცემულია ჩემს სახელზე და სასტუმროს პროექტი თბილისში, რუისის ქ. № 11 (უძრავი ქონება) და № 13- ში მდებარე ჩემს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, გადაეცეს შპს „მეტესის ქარებს“ (ს/ნ **406030566**)

როზა შაოშვილი ნაკლებად ვიცანი ქალბატონი როზა შაოშვილ

ორიათას თერთმეტი წლის ოცდაოთხ ოქტომბერს მე, ნოტარიუსს, მარიკა გოგოლაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი 183, მომმართა როზა შაოშვილმა (დაბ. 19.06.1948 წ. თეთრიწყარო. რეგისტრირებული და მცხოვრები: თბილისი, რუისის ქ. 11 (სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერებით: თბილისი, ვ.ჯორბენაძის ქ. 11). პ/მ 01011011461, გ0148011. გაც. 11.09.1996 წ. სრს იუსტიციის სამსახურის მიერ), მან მოითხოვა თავისი სიტყვებით თანხმობის შედგენა და ნოტარიატის შესახებ კანონის 38-ე მუხლის „ხ“ პუნქტისა და სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობების საფუძველზე. შეგამოწმე ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. როზა შაოშვილს განვუმარტე: სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ თანხმობაზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე.

როზა შაოშვილმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური ორი ლარი, + ერთი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ ოთხი ლარი და ჩვიდმეტი თეთრი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა [illegible] საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998 წ. ს/ნ 1414-IIს) 29-ე და 31 მუხლებისა.

ნოტარიუსი მარიკა გოგოლაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N111163757
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.10.2011 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიკა გოგოლაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი #183
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(995 32) 234 81 66
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	31288007163511

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

24.10.2011 17: